საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკატერინე კულულაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: [illegible]

თარიღი: 29.04.2024 г.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„29“ აპრილი, 2024 წ. ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ეკატერინე კულულაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის ღების მიზნით დარეგისტრირებული იქნა **ეკატერინე კულულაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის-**ეკატერინე კულულაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **ეკატერინე კულულაშვილი** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის **ეკატერინე კულულაშვილის** კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისა უნდა ითქვას, რომ იგი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, შეუვალობით, პრინციპულობით და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **ეკატერინე კულულაშვილის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიკერძოებლობისადმი.

დასკვნა: ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი-**ეკატერინე კულულაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ეკატერინე კულულაშვილი სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს როგორც სისხლის სამართლის, ასევე საერთაშორისო სამართლის სფეროს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - 90-ე ადგილი.

დასკვნა: კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ეკატერინე კულულაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

ეკატერინე კულულაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 9 წლის გამოცდილება. ამასთან, კანდიდატი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დამაჯერებლად და კვალიფიციურად გადმოცემის უნარით.

მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კანდიდატს შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და მოსამართლისთვის აუცილებელი ქცევის უნარები. მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ეკატერინე კულულაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.3. წერის უნარი</u>

ეკატერინე კულულაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ იგი ახერხებს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას. მნიშვნელოვანია, ითქვას ისიც, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ელატერინე კულულაშვილი** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ეკატერინე კულულაშვილს აქვს კარგი, გამართული მეტყველების უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი **საჯარო** მოსმენაზე **იყო** საკმაოდ მობილიზებული, ნათლად, გასაგებად და არგუმენტირებულად გამოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მნიშვნელოვანია და უნდა აღინიშნოს, რომ ეკატერინე კულულაშვილს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტეს წილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ეკატერინე კულულაშვილს** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

ეკატერინე კულულაშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2021 წლის თებერვლიდან - 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 100%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 92,6%-ს.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ეკატერინე კულულაშვილი** უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ეკატერინე კულულაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.</u>

<u>საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები:</u>

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა
  - კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2014 წელს)
  - ტესტირება: 85 ქულა
  - წერითი გამოცდა 17 ქულა

- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
  - ეკატერინე კულულაშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის კურსდამთავრებული.
  - ჯგუფში დაიკავა მეექვსე ადგილი; საერთო საკვალიფიკაციო სიაში -90-ე

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ეკატერინე კულულაშვილი** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ეკატერინე კულულაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

- 14-16 თებერვალი, 2023 წელი, კახეთი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ევროპის საბჭოს (CoE) ორგანიზებით გამართული საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა - „საკანმომდებლო და პრაქტიკული საკითხები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით.
- 15-17 მარტი, 2023 წელი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხთა განხილვასთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.
- 12-14 ივლისი, 2023 წელი, კომპლექსი ლოპოტა, სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.
- 6-8 დეკემბერი, 2023 წელი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.

- სასამართლო განაჩენთა (და სხვა გადაწყვეტილებათა) დასაბუთება - იუსტიციის უმაღლესი სკოლა – ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში.
- ზეპირი და წერითი არგუმენტების გამოყენება - იუსტიციის უმაღლესი სკოლა – ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა დაცვისა და დავის გადაწყვეტილების ცენტრი
- ბავშვთა უფლებების კონვენცია - საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი
- გადაწყვეტილებათა ჩამოყალიბება სააპელაციო სასამართლოში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიმოხილვა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- გადაწყვეტილების წერის კულტურა/დასაბუთება - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ეკატერინე კულულაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ეკატერინე კულულაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს,</u>** მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>91</u>** (ოთხმოცდა თერთმეტი)ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი